ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP)

შესავალი

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP) წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და ნატოს წევრ ქვეყნებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და თავსებადობის მიღწევისთვის საჭირო ზომებისა და ინიციატივების ერთობლიობას. ხსენებული პაკეტი მიზნად ისახავს მხარდაჭერას თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში 13 სხვადასხვა მიმართულებით როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო და საზღვაო ძალებისთვის. პაკეტი ითვალისწინებს რეკომენდაციების გაცემას, სტრატეგიულ დონეზე თანამშრომლობას, თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდასა და სასწავლო აქტივობებს, მრავალ-ეროვნულ წვრთნებსა და თავსებადობის გაზრდილი შესაძლებლობების მიღწევას. 2015 წლის მონაცემებით, ნატოს წევრ 20 ქვეყანასა და პარტნიორ ქვეყნებს თავიანთი გამოცდილებითა და რესურსებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ SNGP პაკეტის განხორციელებაში.

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება

SNGP თანამშრომლობის ფორმატი ეფუძნება ნატო-საქართველოს ურთიერთობების ხანგრძლივ ისტორიას, რომელიც ადრეული 90-იანი წლებიდან იწყება. ბოლო წლების განმავლობაში თანამშრომლობა საქართველოსა და ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის კიდევ უფრო გამყარდა სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით, როგორიცაა ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) შექმნა, სამხედრო კომიტეტის (MC) საქართველოსთან თანამშრომლობა, ნატოს სამეკავშირეო ოფისის (NLO) დაარსება, თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდაზე ორიენტირებული პროგრამები და პარტნიორობის სხვადასხვა ფორმატები. გარდა ამისა, ნატო-საქართველოს ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP) ფარგლებში გათვალისწინებულია პრიორიტეტული რეფორმების განხორციელების პროგრესის შეფასება.

2014 წლის სექტემბერში ნატო-ს უელსის სამიტზე მოკავშირე ქვეყნების ლიდერებმა და მთავრობებმა კიდევ უფრო გააღრმავეს პარტნიორობა, აღიარეს რა საქართველო ხუთიდან ერთ-ერთ ქვეყნად, რომელსაც აქვს უნარი და შესაძლებლობა ინტენსიური გახადოს თანამშრომლობა და დიალოგი მოკავშირეებთან. შედეგად თანხმობა განაცხადეს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) დამტკიცებაზე. არსებითი პაკეტის მინიჭებით საქართველო გახდა „ნატო-ს თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდის ინიციატივის“ (DCBI) მთავარი ბენეფიციარი. აღნიშნული ინიციატივა ემსახურება საერთაშორისო სტაბილურობის ხელშეწყობას, რომელიც მიიღწევა წამყვან ქვეყნებთან ერთად კონკრეტული მხარდაჭერის გამოხატვითა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებით.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი გააძლიერებს საქართველოს შესაძლებლობებს, უზრუნველყოს ქვეყნის შიგნით უსაფრთხოება. ასევე გაზრდის საქართველოს მონაწილეობის მასშტაბებს მომავალ საერთაშორისო მისიებში და წინ წაიწიოს ნატო-ში გაწევრიანების მზადების პროცესში.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP)

მრავალმხრივი მიდგომა

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი მოიცავს სხვადასხვა პროექტებს 13 მიმართულებით როგორც სტრატეგიულ, ასევე ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე. მათ შორისაა სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვა, ავიაცია, საჰაერო თავდაცვა, საზღვაო უსაფრთხოება, სტრატეგიული კომუნიკაციები, სპეციალური ოპერაციების ძალები, სამხედრო პოლიცია, კიბერ თავდაცვა, შესყიდვები და სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლა. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებულია თავდაცვის ინსტიტუციური მშენებლობის სკოლის (DIB), ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) დაარსება, ლოგისტიკური ინსფრასტრუქტურის შექმნა, მრავალეროვნული და რეგიონალური წვრთნების ჩატარება.

პროექტებს ხელმძღვანელობენ ჯგუფის ლიდერები და ექსპერტები, რომლებიც გამოცდილების გაზრდისა და რეფორმების წახალისების მიზნით, თანამშრომლობენ თავდაცვის სამინისტროს, გენერალური შტაბის შეიარაღებული ძალების და სხვა უწყებების წარმომადგენლებთან. 2014-15 წწ.-ში პროექტის განხორციელების საწყის ფაზაში SNGP-ის გაცხადებული მიზანი იყო ძირითადი ჯგუფის შექმნა და შესაბამისი საკოორდინაციო პროცესების დაწყება. ქართულ მხარესთან ინტენსიური თანამშრომლობით დაიწყო რამდენიმე პროექტის განხორციელება და შემუშავდა ძირითადი კონცეფცია.

2015 წლის ივლისში ჩატარდა ნატო-საქართველოს სამხედრო წვრთნა პარტნიორებისათვის "Agile Spirit". ასევე გაიხსნა ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნებისა და შეფასების ცენტრი (JTEC). მომდევნო ფაზაში, ქართულ მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობით, იგეგმება პაკეტით გათვალისწინებული სხვა პროექტების დაწყება და შემდგომი განვითარება. პროექტების განხორციელება სხვადასხვა ფაზაში მიმდინარეობს და არსებული რესურსების გათვალისწინებით სხვადასხვა ტემპითა და მასშტაბით ვითარდება.

მნიშვნელოვანი მიმდინარე პროექტები

ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი (JTEC) ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი წარმოადგენს ნატო-საქართველოს პროექტს, რომელიც შეესაბამება საქართველოს და რეგიონალურ საჭიროებებს და აძლიერებს არსებულ საწვრთნელ პროგრამებს, პოლიტიკასა და დოქტრინებს. ცენტრის მიზანია გააძლიეროს საქართველოს თავდაცვის უნარიანობა და უსაფრთხოების სექტორი სხვადასხვა საფრთხეების შესაბამისად, კიდევ უფრო გააუმჯობესოს საქართველოსა და მოკავშირე ძალების თავსებადობა, რაც პარტნიორებს ერთობლივად ეფექტური მუშაობის საშუალებას მისცემს.

ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის დანიშნულებაა ტაქტიკური წვრთნების ჩატარება და მათი შეფასება, ასევე შეიარაღებული ძალების მართვის პოლიტიკის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა. ნატოს და რეგიონალური პარტნიორებისთვის უნიკალური საწვრთნელი შესაძლებლობების შეთავაზებით, ცენტრი მიზნად ისახავს რეგიონალური უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერებას. უსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ ზემოაღნიშნული გეგმების მიღწევა შესაძლებელია შიდა უწყებების კოორდინაციის ხელშეწყობით, ეროვნული, ორმხრივი და მრავალმხრივი წვრთნების ჩატარებით და თანამედროვე ტრენინგების მეთოდების გამოყენებით. 2016 წლიდან JTEC ცენტრი დაიწყებს ქართველი სამხედრო დანაყოფების წვრთნებს.

27 აგვისტო 2015 წ. ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის გახსნა

ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი გაიხსნა 2015 წელს საქართველოს ოფიციალური პირებისა და ნატო-ს გენერალური მდივნის იანს სტოლტენბერგის მიერ კრწანისის ეროვნულ საწვრთნელ ცენტრში. იგი წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის ნაწილს.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIB)

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა მიზნად ისახავს პროფესიული განვითარების პროგრამებისა და ეფექტური ტრენინგების ინიცირებასა და განხორციელებას. აღნიშნული ინიციატივა ემსახურება ინსტიტუციონალური რეფორმების გატარებას, რაც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების სექტორისა და საჯარო სამსახურის ეფექტურ მართვას. DIB სკოლა იქმნება ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრის (PDC) ბაზაზე ნატო-ს შესაძლებლობების გაზრდის პროგრამების მხარდაჭერით, როგორებიცაა, მაგალითად, თავდაცვის განათლებისა და განვითარების პროგრამა (DEEP) და კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა (BI).

DIB სკოლის სივრცეში საქართველოს და საერთაშორისო აქტორების ერთობლივი ღონისძიებები ხელს შეუწყობს თავდაცვის სფეროში გამოცდილებისა და მიღწეული შედეგების გაზიარებას, მათ შორის დისკუსიებს საქართველოს თავდაცვის სისტემის ტრანსფორმაციის შესახებ. სკოლის მიზანია ასევე გააუმჯობესოს შიდაუწყებრივი თანამშრომლობა და კოორდინაცია სხვადასხვა საფრთხეებისა და გამოწვევების საპასუხოდ.

ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება

აღნიშნული პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ძალების და ლოჯისტიკის გადაადგილებას სამხედრო წვრთნებისა და ტრენინგების, ასევე კრიზისების მართვის ოპერაციებისა და ნატოს მიერ წარმართული სხვა საერთაშორისო ოპერაციების დროს. ეს ინიციატივა ასევე მხარს დაუჭერს საქართველოს შეიარაღებული ძალების ტრენინგსა და წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) სხვა აქტივობებს.

სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვა

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ნატოსა და საქართველოს წარმომადგენლები განიხილავენ და შეიმუშავებენ თავდაცვის სფეროში სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის დოკუმენტებს, დოქტრინებსა და პროცედურებს. ეს ითვალისწინებს საბრძოლო და კრიზისების მართვის ოპერაციების, ასევე ერთობლივი და მრავალეროვნული წვრთნების დროს საჭირო ღონისძიებებისა და რესურსების დაგეგმვას. შესაბამისი სემინარების საშუალებით სამხედრო დაგეგმვის პროცესში ჩართული ქართველი ოფიცრები ეცნობიან ნატო-ს ოპერატიული დაგეგმვის პროცესს.

სტრატეგიული კომუნიკაციები

მხარდაჭერის ეს სფერო მიზნად ისახავს სტრატეგიული კომუნიკაციის შესაძლებლობის განვითარებას თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში. ზემოაღნიშნული ემსახურება თავდაცვის სამინისტროს გამჭვირვალობის დონის ამაღლებას და უსაფრთხოების პოლიტიკისა და ადეკვატური ღონისძიებების გააქტიურებას შესაბამისი აუდიტორიისთვის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. მთავრობის უწყებათაშორისი კომუნიკაციის შედეგად, დაიწყო უსაფრთხოების გამოწვევების მიმართ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება.

პაკეტით გათვალისწინებული ყველა სხვა დანარჩენი პროექტი განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა და უახლოეს პერიოდში ამოქმედდება. ყველა ეს პროექტი ითვალისწინებს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების, რესურსებისა და საჭიროებების შეფასებას, შესაბამისი დოქტრინების, გეგმებისა და პროცედურების გაწერას; ასევე საქართველოს რეფორმების პრიორიტეტების გათვალისწინებით პრაქტიკული მხარდაჭერის აღმოჩენას კრიტიკულ სფეროებში.

SNGP პრინციპები

მისია

SNGP პაკეტის განცხორციელებაზე პასუხისმგებელი ძირითადი ჯგუფი მოწოდებულია ითანამშრომლოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, რაც მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მოკავშირე ძალებთან მათი თავსებადობის ამაღლებას და ქვეყნის საბოლოო მომზადებას ნატო-ს წევრობისთვის.

საქართველოს უსაფრთხოების ხედვის მხარდაჭერა: ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP) მხარს უჭერს საქართველოს ხედვას თავდაცვის სისტემის ტრანსფორმაციის შესახებ; მათ შორისაა საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი შეიარაღებული ძალები, თავდაცვის მართვის გაძლიერებული სისტემა, რომელიც ვითარდება უსაფრთხოების, სტაბილურობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ნატო-საქართველოს თანამშრომლობის არსებითი პაკეტი ეფუძნება არსებულ ინფრასტრუქტურასა და შესაძლებლობებს და თავსებადია ეროვნულ სტრატეგიებთან, რეფორმებთან და პრიორიტეტებთან. პაკეტის მიზანია მდგრადი, ინსტიტუციონალური და გრძელვადიანი სარგებელი მოუტანოს მართვისა და ანგარიშვალდებულების სისტემებს, ასევე გააძლიეროს ქვეყნის უსაფრთხოების შესაძლებლობები.

შესაძლებლობების განვითარების გაუმჯობესება: SNGP ეფუძნება ნატო-ს მრავალწლიან მხარდაჭერას, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა პროგრამებით: თავდაცვის განათლებისა და განვითარების პროგრამა (DEEP), პროფესიული განვითარების პროგრამა (PDP), კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამა (BI) და დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი პარტნიორობა მშვიდობისათვის (PfP) ფორმატის ფარგლებში.

რეფორმების მხარდაჭერა: SNGP თავისი შინაარსით ავსებს და აძლიერებს ნატო-ს მხარდაჭერას სხვადასხვა რეფორმებზე პოლიტიკის, ეკონომიკის, თავდაცვის, რესურსების, უსაფრთხოებისა და საკანონმდებლო სფეროებში, როგორც ამას ითვალისწინებს ყოველწლიური ეროვნული პროგრამა (ANP), დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი (PARP) და ნატო-საქართველოს სამხედრო სამუშაო გეგმა (Military Work Plan).

თავდაცვის შესაძლებლობებისა და მზადყოფნის გაძლიერება: SNGP აძლიერებს საქართველოს შესაძლებლობებს ეფექტურად გაუმკლავდეს ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს, მათ შორის გააუმჯობესოს კრიზისებისა და ბუნებრივი კატასტროფების დროს სიტუაციების მართვა.

რეგიონში სტაბილურობის ხელშეწყობა: SNGP მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს რეგიონში სტაბილურობის გაუმჯობესების საქმეში, რაც შავი ზღვის რეგიონში თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის განმტკიცებით და რეგიონალური დიალოგისა და მშვიდობის მხარდაჭერით მიიღწევა.

თავსებადობის გაუმჯობესება: SNGP ეხმარება საქართველოს ჩამოაყალიბოს ნატოს სტანდარტების შესაბამისი მოქნილი შენაერთები, რომლებიც მოკავშირე ძალებთან ერთად განახორციელებენ ოპერაციებს უსაფრთხოების საერთო გამოწვევების საწინააღმდეგოდ.